

ქალაქ ქუთაისში, გრ.ხანძთელის ქუჩა N21 საცხოვრებელი სახლის
N30 ბინაზე, მოქალაქე გიორგი მაღლაკელიძის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა გრ.ხანძთელის ქუჩა N21 საცხოვრებელი სახლის N30 ბინაში მცხოვრები მოქალაქე გიორგი მაღლაკელიძის განცხადება /2013 წლის 17.07 №მ-7471/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, გრ.ხანძთელის ქუჩა N21 საცხოვრებელი სახლის N30 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, გრ.ხანძთელის ქუჩა N21 საცხოვრებელი სახლის N30 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე გიორგი მაღლაკელიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, გრ.ხანძთელის ქუჩა N21 საცხოვრებელი სახლის N30 ბინაზე /საერთო ფართობი 54,86 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 29,66 კვ.მ, დამხმარე ფართობი 25,20 კვ.მ./ მოქალაქე გიორგი მაღლაკელიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

დ.კოპალიანი